ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 11 თებერვლის სხდომის

ოქმი #1

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წლის 11 თებერვალს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 23.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ
2. დეკანის ანგარიშის შესახებ
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშის შესახებ
4. პერსონალის თვითშეფასების ანგარიშის განხილვის შესახებ
5. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი - საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარსისხის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან განსახილველად გამოიტანა ცვლილებები კომპიუტერული მეცნიერების ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებში (იხ. დანართი 1.1) და გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამაში (იხ. დანართი 1.2).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი ცვლილებები კომპიუტერული მეცნიერების ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებში და გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამაში.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 23 წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები კომპიუტერული მეცნიერების ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებში (იხ. დანართი 1.1) და გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამაში (იხ. დანართი 1.2).

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი - დეკანის ანგარიშის შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. ანგარიში საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ (იხ. დანართი 2). დეკანმა გამოთქვა მზადყოფნა კითხვებზე ეპასუხა, თუ ასეთი იქნებოდა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ა.გამყრელიძემ. პროფესორმა რ.გახოკიძემ საბჭოს წევრების სახელით მადლობა გადაუხადა ფაკულტეტის დეკანს, ბატონ რამაზ ხომერიკს საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დეკანის ანგარიშის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, ასოცირებული პროფესორის რამაზ ხომერიკის ანგარიში.

3. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მესამე საკითხი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშის შესახებ. ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის, ქ-ნი თამარ ჭელიძის ანგარიში საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ (იხ. დანართი 3). საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაესვათ შეკითხვები, თუ ასეთი ჰქონდათ, ქ-ნი თამარ ჭელიძისთვის.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიშის დამტკიცების საკითხი (იხ. დანართი 3).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიში (იხ. დანართი 3).

4. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - პერსონალის თვითშეფასების ანგარიშის განხილვის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარსისხის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან მიმოიხილა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშები, აღნიშნა, რომ აკადემიურმა პერსონალმა სერიოზული მუშაობა გასწია. საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულია 100-მდე იმპაქტ-ფაქტორიანი სტატია (გამოსაქვეყნებლად მიღებული ნაშრომების ჩათვლით). პერსონალის მიერ გაწეული მუშაობა იმსახურებს დადებით შეფასებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშების დადებითად შეფასების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დადებითად შეფასდეს აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშები (ანგარიშები ელექტრონული სახით ინახება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში).

5. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეხუთე - მიმდინარე საკითხები. მიმდინარე საკითხებში განხილული იყო:
   5.1. Q1 ტიპის ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების დაფინანსების შესახებ;
   5.2. ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ გიგა გაბრიაძისთვის სადისერტაციო ნაშრომის ინგლისურ ენაზე შესრულებისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
   5.3. სადოქტორო პროგრამა „ფიზიკის“ ზოგიერთი დოქტორანტისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სამეცნიერო თემის დამტკიცება;

5.4. სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოდან გადმორიცხული თანხის განაწილების შესახებ.

5.1 მოისმინეს: Q1 სტატუსის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების დაფინანსების შესახებ. საკითხის განსახილველად გამოიტანა პროფესორმა უ.გოგინავამ. როგორც ცნობილია, ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების ავტორებზე გაიცემა დამატებითი ანაზღაურება, ამასთან ფინანსდება 1 სტატია ერთ აკადემიურ პერსონალზე. პროფესორმა უ.გოგინავამ შემოიტანა წინადადება, რომ შესაძლებელი გახდეს დამატებითი ანაზღაურების გაცემა ერთ აკადემიურ პერსონალზე Q1 სტატუსის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული ერთზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისათვის.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იგი მხარს უჭერს დამატებით ერთი ასეთი სტატიის დაფინანსებას ერთ აკადემიურ პერსონალზე. აზრი გამოთქვა პროფესორმა გ.სირბილაძემაც.

საბოლოოდ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, რომ მას შემდეგ, რაც ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების ავტორებზე გაიცემა დამატებითი ანაზღაურება (1 სტატია ერთ აკადემიურ პერსონალზე), გაიცეს დამატებითი ანაზღაურება Q1 სტატუსის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომისათვის ფაკულტეტის ბიუჯეტში თანხის დარჩენის შემთხვევაში. ამასთან დამატებით დაფინანსდეს არაუმეტეს 1 ასეთი სტატიისა ერთ აკადემიურ პერსონალზე.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 23, წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

5.1. დაადგინეს: იმ შემთხვევაში, თუ ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების ავტორებზე დამატებითი ანაზღაურების (1 სტატია ერთ აკადემიურ პერსონალზე) გაცემის შემდეგ ფაკულტეტის ბიუჯეტში დარჩა თანხა, გაიცეს დამატებითი ანაზღაურება Q1 სტატუსის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომებისათვის. ამასთან დამატებით დაფინანსდეს არაუმეტეს 1 ასეთი სტატიისა ერთ აკადემიურ პერსონალზე.

5.2. მოისმინეს: ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ გიგა გაბრიაძისთვის სადისერტაციო ნაშრომის ინგლისურ ენაზე შესრულებისთვის თანხმობის მიცემის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა გ.ღვედაშვილმა. მან აღნიშნა, რომ დოქტორანტ გიგა გაბრიაძე დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში აქტიურად თანამშრომლობდა უცხოელ კოლეგებთან, მისი სტატიები შესრულებული იყო უცხოელ კოლეგებთან ერთობლივი პროექტების ფარგლებში, ამიტომ გ.გაბრიაძის სადოქტორო ნაშრომი საინტერესო იქნება მისი უცხოელი კოლეგებისა და თანაავტორებისათვის. აქედან გამომდინარე, პროფ. გ.ღვედაშვილმა თხოვნით მიმართა საბჭოს წევრებს, რომ ნება დართონ დოქტორანტ გიგა გაბრიაძეს სადისერტაციო ნაშრომის ინგლისურ ენაზე შესრულებაზე. ამასთან, მან აღნიშნა, რომ დისერტაციის დაცვა და ძირითადი შედეგების პრეზენტაცია ქართულ ენაზე მოხდება.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა ნ.დორეულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 23, წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

5.2. დაადგინეს: ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ გიგა გაბრიაძეს თანხმობა ეთქვას სადისერტაციო ნაშრომის ინგლისურ ენაზე წარმოდგენაზე.

5.3. მოისმინეს: სადოქტორო პროგრამა „ფიზიკის" ზოგიერთი დოქტორანტისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სამეცნიერო თემის დამტკიცება. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. კერძოდ, მან ფიზიკის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის 2020 წლის 15 იანვრის სხდომის №6 ოქმიის საფუძველზე დასამტკიცებლად გამოიტანა ფიზიკის სადოქტორო პროგრამის შემდეგი დოქტორანტების: ა) მარიამ მძინარაშვილის, ბ) მარიამ ჩიტიშვილის და გ) მარიამ წვერავასთვის სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სამეცნიერო თემის დამტკიცების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 23, წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

5.3. დაადგინეს:

ა) დოქტორანტ მარიამ მძინარაშვილის სამეცნიერო ხელმძღვანელებად დატკიცდნენ თსუ პროფესორი თამაზ მძინარაშვილი და თსუ ასისტენტ-პროფესორი მარიამ ხვედელიძე. მარიამ მძინარაშვილის სადისერტაციო თემად დამტკიცდეს „ბაქტერიების გამრავლების პროცესების კვლევები და წამლის გადამტანი ნანონაწილაკების კვლევა";

ბ) დოქტორანტ მარიამ ჩიტიშვილის მეორე სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს თსუ ა.რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის გიორგი ლავრელაშვილი;

გ) დოქტორანტ მარიამ წვერავას მეორე სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს სტუ ვ.ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის კოჰერენტული ოპტიკისა და ელექტრონიკის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ზაზა მელიქიშვილი, ხოლო სადისერტაციო თემად დამტკიცდეს „ბიოსამედიცინო გამოყენებითი ელექტროდინამიკა".

5.4 მოისმინეს: სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოდან გადმორიცხული თანხის განაწილების შესახებ. ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ თანხის დაახლოებით 30% ინგლისურენოვანი პროგრამების მომსახურებისთვის (ძირითადად პედაგოგების ხელფასებისთვის) დაიხარჯება, ხოლო დარჩენილი 70% პროცენტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ახალი აპარატურის შესყიდვის მიზნით დახარჯვაზე ფაკულტეტის საბჭოს წევრებთან ერთად იმსჯელა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა მ.ხაჩიძემ, ო.მუკბანიანმა, დ.ძიძიგურმა და სხვებმა.

5.4. დაადგინეს: მიღებულ იქნას ცნობად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი
თინათინ დავითაშვილი